

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
(მეხუთე სექცია)
გადაწყვეტილება
საქმეზე „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“
(საჩივარი №31536/07)

სტრასბურგი
2018 წლის 28 ივნისი

საბოლოო გახდა
28/09/2018

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია)
პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:
ანგელიკა ნუსბერგერი, თავმჯდომარე,
ერიკ მოსე,
იონკო გროზევი,
სიოფრა ო'ლირი,
მარტინშ მიტსი,
გაბრიელე კუჩკო-შტადლმაიერი,
ლადო ჭანტურია, მოსამართლეები,
და მილან ბლაშკო, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,
2018 წლის 5 ივნისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ,
გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმეს საფუძველად დაედო საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი ელდარ ჭოხონელიძის („მომჩივანი“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად 2007 წლის 5 ივნისს სასამართლოში შეტანილი

2. მომჩივანს წარმოადგენდა ქ-ნი ლ. მუხაშავრია, ადვოკატი, რომელიც საქმიანობს თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ლ. მესხორაძე.

3. კერძოდ, მომჩივანი აცხადებდა, რომ მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესის სამართალწარმოება განხორციელდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევით, რადგან იგი იყო პოლიციის მხრიდან დანაშაულის პროვოკაციის მსხვერპლი და რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი თქვა გარკვეული მოწმეების მოსმენაზე.

4. 2014 წლის 8 დეკემბერს მთავრობას ეცნობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის შესახებ, ხოლო საჩივრის დარჩენილი ნაწილი მიუღებლად გამოცხადდა სასამართლოს რეგლამენტის 54-ე წესის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1956 და ცხოვრობს მარნეულის რაიონის სოფელ წერეთელში.

A. წინასწარი გამოძიება

6. 2005 წლის 1-ლ დეკემბერს მარნეულის რაიონის გამგებელს მიმართა კონკრეტულმა პირმა, ქ-ნმა ქ.-მ, რეგიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვისთვის. გამგებელმა განცხადების შესწავლა დაავალა მომჩივანს, თავის მოადგილეს, რომელიც იყო პასუხისმგებელი რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სახელმწიფო მიწების მართვაზე.

7. მომჩივანსა და ქ.-ს შორის შეხვედრა შედგა 2005 წლის 1-ლ დეკემბერს, მომჩივნის ოფისში. მოვლენათა ოფიციალური ვერსიის თანახმად შეხვედრაზე, როდესაც ქ-ნ ქ. საჭირო დოკუმენტების და სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცედურის შესახებ დაინტერესდა, მომჩივანმა უპასუხა, რომ აუცილებელი ფორმალობების გარდა, მას ასევე უნდა გადაეხადა ქრთამი 30,000 აშშ დოლარის ოდენობით; აქედან, 20,000 აშშ დოლარი გამგებლის წილი იყო, დანარჩენი კი განაწილდებოდა მომჩივანსა და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებს შორის.

8. 2005 წლის 6 დეკემბერს ქალბატონმა ქ.-მ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს („კუდ-ი“), რომ მომჩივანმა ქრთამი მოითხოვა მისთვის მშენებლობის ნებართვის მოპოვებაში დახმარების სანაცვლოდ. მან კუდ-თან თანამშრომლობაზე მზადყოფნა გამოთქვა. უფლებამოსილმა პირებმა დაუყოვნებლივ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე ქ-ნი ქ.-ს ბრალდებების საფუძველზე („ქრთამის აღების საქმე“).

9. 2005 წლის 6 დეკემბერს გენერალურმა პროკურატურამ („პროკურატურა“) კუდ-ს ზოგადი უფლებამოსილება მიანიჭა ქრთამის აღების საქმის წარმოებასა და ყველა აუცილებელი საგამოძიებო ღონისძიების ჩატარებაზე.

10. 2005 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნებართვა გასცა მომჩივნის ქ-ნ ქ.-თან შეხვედრების ფარული ვიდეო ჩანაწერის წარმოებასა და მათი სატელეფონო საუბრების მოსმენის თაობაზე.

11. 2005 წლის 8 დეკემბერს ქალბატონმა ქ.-მ შეიძინა მიწის ნაკვეთი სხვა კერძო პირის, ქ-ნი ნ.-სგან, (შემდგომში „ნასყიდობის ხელშეკრულება“) ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის მიზნით. იმავე დღეს, მომჩივანი დაუკავშირდა ნოტარიუსს და მარნეულის რაიონის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსს, ნასყიდობის ხელშეკრულების დამოწმების და მიწის ნაკვეთის ქ-ნი ქ.-ს სახელზე დაჩქარებული წესით რეგისტრაციის თხოვნით.

12. 2005 წლის 12 დეკემბერს ქ-მა ქ.-მ მომჩივნის ოფისში მიიტანა ნასყიდობის ხელშეკრულება და ახლად შეძენილ მიწაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერი მარნეულის რაიონის საჯარო რეესტრიდან. მეორე შეხვედრაზე, რომელიც ქ-მა ქ.-მ ფარულად გადაიღო, მომჩივანმა კიდევ ერთხელ მოითხოვა ქრთამი. მან მოითხოვა 10,000 აშშ დოლარი წინასწარი შენატანის სახით, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს თანხა არ იყო გათვალისწინებული სამშენებლო ნებართვის გაცემისთვის კანონით დადგენილი ოფიციალური საფასურის ან გადასახადის დასაფარად. ქალბატონი ქ. დაჰპირდა, რომ თანხას მომდევნო დღეს მოიტანდა.

13. 2005 წლის 13 დეკემბერს ქალბატონმა ქ.-მ 10,000 აშშ დოლარი მიუტანა მომჩივანს ნაღდი ფულის სახით. ბანკნოტები სპეციალური ნივთიერებით იყო დანიშნული კუდ-ის მიერ. შეხვედრა მომჩივნის ოფისში შედგა, რომელსაც ფარულად იღებდა ქალბატონი ქ. და კუდ-ის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა. როგორც კი ქ-ნმა ქ.-მ თანხა გადასცა მომჩივანს, ოთახში კუდ-ის ოფიცრები შევიდნენ და მომჩივანი დააპატიმრეს.

14. მომჩივნის პირადი ჩხრეკა ადგილზე ჩატარდა და მისი პიჯაკის მარჯვენა შიდა ჯიბეში ბანკნოტები იქნა აღმოჩენილი. სამართალდამცავებმა დაუყოვნებლივ დაათვალიერეს ბანკნოტები სპეციალური ნათურის გამოყენებით და იმ ნივთიერების კვალი აღმოაჩინეს, რომლითაც კუდ-ის ოფიცრებმა დანიშნეს ფული. იგივე ნივთიერება აღმოჩნდა მომჩივნის ორივე ხელის თითებზე და მის პიჯაკზე. ამ დასკვნების სიზუსტე მოგვიანებით დადასტურდა სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზით.

15. 2005 წლის 14 დეკემბერს მომჩივანს ბრალი წაუყენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნის ფაქტზე.

16. მომჩივანსა და ქ-ნ ქ.-ს შორის სხვადასხვა შეხვედრის ფარული ჩანაწერების შესწავლის შედეგად, დადასტურდა ამ ჩანაწერთა ნამდვილობა. 2006 წლის 8 თებერვალს გამომძიებელმა მომჩივანსა და მის ადვოკატს გააცნო აღნიშნული სასამართლო ექსპერტიზის შედეგები. ბრალდებულმა ნაწილობრივ არ უარყო ეს მტკიცებულებები.

B. სასამართლო განხილვა

17. ბოლნისის რაიონულ სასამართლოში დაკითხვაზე მომჩივანმა, რომელსაც მის მიერ არჩეული ორი ადვოკატი წარმოდგენდა, განაცხადა, რომ იგი კუდ-ის პროვოკაციის მსხვერპლი იყო, მას არ ჰქონია ქრთამის აღების განზრახვა და რომ იგი კეთილი ნებით ეხმარებოდა ქ-ნ ქ.-ს, რადგან მას შორეულ ნათესავად თვლიდა. იგი ამტკიცებდა, რომ დახმარებას უწევდა ქალბატონ ქ.-ს მიწის შესყიდვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ფორმალობებში. გარდა ამისა, მომჩივანმა აღიარა 10,000 აშშ დოლარის აღება, მაგრამ დაამატა, რომ ეს თანხა უნდა გადაეცა სამშენებლო კომპანიისთვის, როგორც წინასწარი საფასური მომავალი ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისთვის. მან განაცხადა, რომ ის ვერ ხსნიდა, რატომ ცდილობდა ქ-ნი ქ. მის მიერ ქრთამის მიღების წაქეზებას.

18. 2006 წლის 20 აპრილს პირველი ინსტანციის სასამართლოში პირველად დაკითხვისას ქ-ნმა ქ.-მ განაცხადა, რომ იგი მომჩივანს მის ოფისში შეხვდა და შეატყობინა მისი განზრახვა ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით. მან მოტყუებით წარუდგინა თავი შორეულ ნათესავად, რათა მომჩივნის კეთილგანწყობა უფრო ადვილად მოეპოვებინა. ქალბატონმა ქ.-მ დაადასტურა, რომ მომჩივანი მას დაეხმარა შესაბამის ადმინისტრაციულ ფორმალობებში ნოტარიუსთან და მარნეულის რაიონის საჯარო რეესტრთან. რაც შეეხება 10,000 აშშ დოლარს, ქალბატონმა ქ.-მ თავის ჩვენებაში გაიმეორა მოვლენების მომჩივნისეული ვერსია - რომ განზრახული იყო მომჩივნის ოფისის მეშვეობით თანხის გადახდა კერძო სამშენებლო კომპანიისთვის, მიმდინარე ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით. ქალბატონმა ქ.-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას არასოდეს უფიქრია, რომ მომჩივანს განზრახული ჰქონდა ზემოხსენებული თანხის ნაწილის პირადი სარგებლისთვის გამოყენება. მიუხედავად ამისა, ქ-ნი ქ. მაინც ეჭვობდა შესაძლო უკანონო განზრახვაზე ფულის გადაცემასთან დაკავშირებით და მან გადაწყვიტა კუდი-სთვის ეცნობებინა მომჩივანთან მისი საუბრის შესახებ.

19. 2006 წლის 2 მაისს მომჩივნის სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისმგებელმა პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა ქალბატონი ქ.-ს წინააღმდეგ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვის, ქ-ნი ქ.-ს მიერ თავდაპირველად კუდ-ში გამოძიების ეტაპზე და 2006 წლის 20 აპრილს პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე გაკეთებულ განცხადებებს შორის სავარაუდო შეუსაბამობის

20. 2006 წლის 3 მაისს ქალბატონმა ქ.-მ მოითხოვა, რომ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში კიდევ ერთხელ გამართულიყო მისი მოსმენა მომჩივნის საქმესთან დაკავშირებით, რადგან მას დაავიწყდა ჩვენების მიცემა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოების შესახებ 2006 წლის 20 აპრილს გამართულ მოსმენაზე.

21. 2006 წლის 17 მაისს ქალბატონმა ქ.-მ საჩივარი შეიტანა პროკურატურაში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით (იხ. მე-19 პარაგრაფი). იგი აცხადებდა, რომ 2006 წლის 20 აპრილს პირველი ინსტანციის სასამართლოში მის მიერ გაკეთებული განცხადებები წარმოადგენდა სიმართლეს და სრულად ასახავდა მომჩივანთან რამდენიმე შეხვედრის შინაარსს, რისი შემოწმებაც შესაძლებელი იყო შესაბამისი ფარული ვიდეო- და აუდიოჩანაწერების შესწავლით.

22. 2006 წლის 23 ივნისს პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვის დროს, ორივემ – ნოტარიუსმა, რომელმაც ნასყიდობის ხელშეკრულება დაამოწმა და მარნეულის რაიონის საჯარო რეესტრის უფროსმა, დაადასტურა, რომ მომჩივანი მათგან დაჟინებით მოითხოვდა ქ-ნი ქ.-ს საკუთრების უფლების რეგისტრაციის დაჩქარებას მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ბენზინგასამართი სადგური უნდა აშენებულიყო. ორივე მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ ქ-ნ ნ.-ს საკუთრებას წარმოადგენდა, ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმების შემდეგ მალევე გაუქმდა.

23. 2006 წლის 23 ივნისს მომჩივნის მოთხოვნის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში მტკიცებულების სახით შეიტანა სატელევიზიო გადაცემის ჩანაწერი და საგაზეთო სტატია, რომელშიც ქ-ნი ქ. საჯაროდ აღიარებდა, რომ იგი ოთხ სხვა სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენდა კუდ-ის საიდუმლო აგენტს.

24. 2006 წლის 7 ივლისს, ქ-ნ ქ., რომელიც იმ დროისათვის უკვე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისთვის, მეორედ დაიკითხა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ. მან დაადასტურა მის მიერ გამოძიების ეტაპზე გაკეთებული განცხადებები. კერძოდ, მან აჩვენა, რომ მომჩივანმა მას გარკვევით სთხოვა „არაოფიციალურად“ გადაეხადა 30,000 აშშ დოლარის ოდენობის თანხა სამშენებლო პროექტთან დაკავშირებული, დაპირებული დახმარების სანაცვლოდ, საიდანაც 20,000 აშშ დოლარი მომჩივნის თქმით გამგებლისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა, მან აღნიშნა, რომ არ იცოდა, აპირებდა თუ არა მომჩივანი დარჩენილი 10,000 აშშ დოლარის რაიმე ნაწილის დატოვებას პირადი სარგებლისთვის. ქ-ნმა ქ.-მ ასევე დაადასტურა, რომ მისი სახელით იმ დროს მომჩივანმა ნამდვილად აწარმოა მოლაპარაკებები მთელ რიგ სამშენებლო კომპანიებთან.

25. ქ-ნმა ქ.-მ არ უარყო, რომ მომჩივნის წინააღმდეგ საქმეში მონაწილეობამდე, იგი სხვა სისხლის სამართლის საქმეებში მოქმედებდა, როგორც კუდ-ის საიდუმლო აგენტი. შემდეგ მან პირველი ინსტანციის სასამართლოში განაცხადა, რომ იგი უკვე კუდ-ის საიდუმლო აგენტი იყო, როდესაც პირველად მიმართა მომჩივანს 2005 წლის 1-ლ დეკემბერს. მან განაცხადა, რომ კუდ-ის ამ ფარული ანტიკორუპციული ოპერაციის თავდაპირველი მიზანი იყო მარნეულის რაიონის გამგებლის დანაშაულებრივი საქმიანობის გამოვლენა. აღსანიშნავია, რომ კუდ-ი ფლობდა ინფორმაციას გამგებლის მიერ ქრთამის გამოძალვის ფაქტებზე სხვადასხვა საჯარო მომსახურების სანაცვლოდ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავდაპირველი გეგმა ჩაიშალა, სამართალდამცავი ორგანოების ყურადღება გადატანილ იქნა გამგებლის მოადგილეზე – მომჩივანზე. ქალბატონმა ქ.-მ ასევე განაცხადა, რომ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ნასყიდობის ხელშეკრულება გაუქმდა მომჩივნის დაპატიმრებისთანავე, რადგანაც ფაქტობრივად ეს იყო კუდ-ის მეთვალყურეობის ქვეშ გაფორმებული ფიქტიური გარიგება. ქ-ნი ქ.-ს განცხადებით, ქალბატონი ნ. ასევე თანამშრომლობდა კუდ-თან იმ დროს, და, რომ ქალბატონ ქ.-ს და ნ.-ს შორის პირველი შეხვედრა გაიმართა კუდ-ის შენობაში.

26. 2006 წლის 7 ივლისს მომჩივანმა პირველი ინსტანციის სასამართლოს სთხოვა ქალბატონი ნ.-ის მოწვევა დამატებითი მოწმის სახით, რათა დაეკითხა კუდ-თან მისი სავარაუდო თანამშრომლობის და მისი როლის შესახებ მოვლენათა განვითარებაში, რამაც გამოიწვია მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა (იხ. წინა პარაგრაფი). საპასუხოდ, პროკურატურამ განაცხადა, რომ უკვე სცადა ქალბატონ ნ.-ის მოწმის სახით გამოძახება, მაგრამ ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელი უცნობი იყო. ზემოთ ხსენებულზე დაყრდნობით ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ობიექტურად შეუძლებელი იყო ქალბატონი ნ.-ს მოწმის სახით გამოძახება.

27. 2006 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მომჩივანი

დამნაშავედ ცნო და შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ განმარტა, რომ საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებები – სასამართლო განხილვისას ქ.-ს, ნოტარიუსისა და საჯარო რეესტრის უფროსის მიერ გაკეთებული განცხადებები; სასამართლოს მიერ ნებადართული ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერი; 2005 წლის 13 დეკემბერს ჩატარებული მომჩივნის პირადი ჩხრეკის და სასამართლო-ქიმიური და ფონოსკოპიური ექსპერტიზის შედეგები ადასტურებენ მომჩივნის ბრალეულობას გონივრულ ეჭვს მიღმა. რაც შეეხება მომჩივნის განცხადებას, რომ მის ხელთ აღმოჩენილი თანხა (10,000 აშშ დოლარი) იყო არა ქრთამი, არამედ სავალდებულო წინასწარი გადახდა ქ-ნი ქ.-ს მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, რაიონულმა სასამართლომ უპასუხა, რომ ეს არ დასტურდებოდა შეგროვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით; მას ამასთან დაკავშირებით დამატებითი განმარტება არ გაუკეთებია. რაც შეეხება მომჩივნის არგუმენტს, რომ იგი აღნიშნულ დანაშაულის ჩადენაში დაიყოლია ქალბატონმა ქ.-მ, რომელიც კუდ-ის აგენტ-პროვოკატორი იყო, სასამართლოს ეს არგუმენტი საერთოდ არ განუხილავს.

28. 2006 წლის 15 აგვისტოს მომჩივანმა მის მსჯავრდებასთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელშიც იმეორებდა მის პრეტენზიას სავარაუდო პროვოკაციის შესახებ და მოვლენათა საკუთარ ვერსიას ამტკიცებდა.

29. 2006 წლის 18 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაიწყო მომჩივნის საჩივრის განხილვა. 2006 წლის 8 ნოემბერს გამართულ მოსმენაზე მომჩივანი უთითებდა მისი ოჯახის წევრების განცხადებებზე, რომ მათ ცოტა ხნის წინ დაინახეს ქალბატონი ნ. თავის სახლში – მომჩივანმა სთხოვა სააპელაციო სასამართლოს ამ უკანასკნელის გამოძახება, რათა ბოლოსდაბოლოს დაეკითხათ იგი. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის თხოვნა.

30. 2006 წლის 1-ლ დეკემბერს ქალბატონი ნ. სააპელაციო სასამართლოში იყო გამოძახებული, მაგრამ არ გამოცხადებულა. მომჩივანმა აღნიშნა, რომ მისი ოჯახის წევრები, რომლებიც ცხოვრობდნენ იმავე სოფელში (ორჯონიკიძე), რომელშიც ქალბატონი ნ. ცხოვრობდა, მივიდნენ მასთან და სთხოვეს სასამართლოში ჩვენება მიეცა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა. პროკურატურამ აღნიშნა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფდა ქალბატონი ნ.-ის მისვლას, მაგრამ დაჰპირდა, რომ ამას მომდევნო მოსმენაზე გააკეთებდა, რომელიც 2006 წლის 6 დეკემბერს იყო დაგეგმილი.

31. 2006 წლის 2 დეკემბერს ქ-ნმა ნ.-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წერილობითი განცხადება წარადგინა, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ცოტა ხნის წინ შეიტყო მომჩივნის სისხლის სამართლის საქმის მიმდინარე განხილვის შესახებ. მან განაცხადა, რომ მას არ შეეძლო მოწმედ გამოცხადება სააპელაციო სასამართლოში მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო. კერძოდ, ქალბატონმა ნ.-მ აღნიშნა, რომ მისი ასაკოვანი დედა მძიმედ იყო ავად და იმყოფებოდა მისი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

32. 2006 წლის 6 დეკემბერს პროკურატურამ წარმოადგინა ქ-ნი ნ.-ის მეზობლების 2006 წლის 4 დეკემბრით დათარიღებული ხელნაწერი წერილი, რომლის თანახმადაც, მოწმედ სოფელში არსებული სახლი დიდი ხნის წინ დატოვა და მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ობიექტურად შეუძლებელი იყო ქალბატონი ნ.-ის გამოძახება, რადგან ვერ ხერხდება მისი ადგილსამყოფლის იდენტიფიცირება.

33. 2006 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარყო მომჩივნის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა 2006 წლის 17 ივლისის მსჯავრდება სრულად. პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, სააპელაციო სასამართლომ უპასუხოდ დატოვა მომჩივნის არგუმენტი, დაზარალებულის, კუდ-ის აგენტ-პროვოკატორის მიერ განხორციელებული დანაშაულის პროვოკაციის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა და არ მიიღო მომჩივნის ის არგუმენტი, რომ 10,000 აშშ დოლარი უნდა გადაეცა წინასწარიგადასახადის სახით სამშენებლო სამუშაოებისთვის. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროისთვის, როდესაც მომჩივანმა მიიღო თანხა ქ-ნ ქ.-სგან, მშენებლობის ნებართვა არ იყო გაცემული და არც არქიტექტურული გეგმა და ხარჯთაღრიცხვა ყოფილა მომზადებული.

34. 2007 წლის 16 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარყო მომჩივნის საჩივარი, როგორც დაუშვებელი და საბოლოოდ შეწყვიტა სამართალწარმოება.

35. 2008 წლის 24 ნოემბერს მომჩივანი საპატიმროდან ვადამდე გათავისუფლდა პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

36. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ), რომელიც ძალაში იყო 1998 წლის 20 თებერვლიდან 2010 წლის 1-ლ ოქტომბრამდე, მე-7 მუხლის თანახმად კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები უკანონოდ ითვლება.

37. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111 §1 (გ) მუხლში მითითებულია რომ მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა „უკანონო ქმედების, მუქარის ან ძალის გამოყენებით, დამამცირებელი მოპყრობის, მოტყუებით შანტაჟის ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით“ არ უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. იმავე დებულების მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალმდებელს ეკისრება პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცების ტვირთი, რომ მამხილებელი მტკიცებულებები კანონიერად იქნა მოპოვებული.

38. 1999 წლის 30 აპრილის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის შესაბამის დებულებებში, რომელიც იმ დროისთვის ძალაში იყო, მოცემულია შემდეგი:

„მუხლი 1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა

„1. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ (შემდგომში „სპეციალური საგამომიებო სამსახურები“) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან“.

მუხლი 3. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები

„2. აკრძალულია იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც: დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან,...“

„მუხლი 6. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში“

„2. პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს მოქმედებას მოჰყვა მისი უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა, შეუძლია გაასაჩივროს ასეთი მოქმედების კანონიერება შესაბამის ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში, პროკურორთან ან სასამართლოში.“

„მუხლი 7. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ჩატარების მეთოდი

„2. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ღიად და კონსპირაციული წესების დაცვით გამოიყენება:

(თ) მოსამართლის ბრძანებით საფოსტო-სატელეგრაფო სატელეფონო საუბრების კონტროლი;

(ი) მოსამართლის ბრძანებით ფარული აუდიო- და ვიდეოჩაწერა, ფოტოგადაღება, ასევე, ელექტრონული კომუნიკაციის კონტროლი;

კ) დადგენილი წესით დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩართვა;

ლ) დადგენილი წესით კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა.“

39. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 3-6 პუნქტებში აღნიშნულია, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მეთოდებს შორის, რომლებიც იმავე დებულების 1-ლ პუნქტშია სრულად ჩამოთვლილი, (თ) და (ი) ქვეპუნქტებში ნახსენები ზომები – თვალყურის დევნება და სხვადასხვა სახის კომუნიკაციის მოპოვება – უნდა დაიწყოს და განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ, სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

40. მომჩივანი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი ქრთამთან დაკავშირებული დანაშაულის თაობაზე უსამართლო იყო, რადგან, ერთი მხრივ, ის დასტურდებოდა პოლიციის მიერ პროვოკაციის გზით მოპოვებული მტკიცებულებებით, და მეორე, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ განიხილეს პროვოკაციასთან დაკავშირებით მომჩივნის შუამდგომლობა. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, რომლის შესაბამის ნაწილში ვკითხულობთ:

„მის წინააღმდეგ რაიმე სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, ყოველი ადამიანი აღჭურვილია სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებით...”

A. მისაღებობა

41. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელი არ არის კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) პუნქტის თანახმად, ასევე, ის მიუღებელი არ არის რაიმე სხვა საფუძველით. შესაბამისად, საჩივარი უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

B. არსებითი განხილვა

1. მხარეთა არგუმენტები

42. მთავრობამ განაცხადა, რომ, ადგილი არ ჰქონია მომჩივნის პროვოცირებას და სამართალდამცავი ორგანოები (კუდ-ი) არსებითად პასიურად მოქმედებდნენ საქმის გამოძიებისას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქ-ნი ქ., რომელმაც გამოიჩინა მომჩივანთან დაკავშირების ინიციატივა, იყო რიგითი კერძო პირი, რომელმაც მომჩივანთან მიმართებით თავისი ეჭვის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს (კუდ-ი) მხოლოდ მას შემდეგ აცნობა, როდესაც მომჩივანმა ქრთამის გადახდა მოსთხოვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კუდ-ის მხრიდან არ ჰქონია ადგილი დანაშაულის წაქეზებას, იგი მოგვიანებით „შეუერთდა“ ამ ქმედებას ქ-ნი ქ.-სთვის ნებართვის მიცემისა და აღჭურვის გზით, რათა ამ უკანასკნელს განეხორციელებინა ფარული მიყურადება. კუდ-ი ყოველთვის ინარჩუნებდა „არსებითად პასიურ“ დამოკიდებულებას გამოძიების მთელ ეტაპზე. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა ეფექტურად წამოეჭრა დანაშაულის პროვოკაციის საკითხი ეროვნული სასამართლოების წინაშე. მართლაც, იგი ეროვნულ სასამართლოებში ინტენსიურად ამტკიცებდა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილება დანაშაულის პროვოკაციის პირდაპირი შედეგი იყო. მთავრობა აცხადებდა, რომ ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მომჩივნის არგუმენტი დანაშაულის პროვოკაციის შესახებ განუხილველად არ დაუტოვებია. შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა სისხლის სამართლის საქმის მასალებში მტკიცებულების სახით დაერთო სატელევიზიო გადაცემის ჩანაწერი და საგაზეთო სტატია, რომელიც შეიცავდა ქ-ნი ქ.-ს აღიარებას პოლიციასთან თანამშრომლობის შესახებ. გარდა ამისა, მომჩივანს შესაძლებლობა ჰქონდა დაეკითხა ქ-ნი ქ. სასამართლო განხილვისას (იხ. პარაგრაფები 23 და 25 ზემოთ).

43. პასუხად, მომჩივანმა თავდაპირველად გააკრიტიკა კუდ-ის მიერ მის წინააღმდეგ ჩატარებული ფარული ოპერაციის პროცედურა. იგი მანამდე არ იყო ნასამართლევ და არასდროს ყოფილა ჩართული რაიმე კორუფციულ გარიგებებში; ამიტომ ძნელი იყო იმის გაგება, თუ რატომ გახდა ის სამართალდამცავი ორგანოების სამიზნე. მოვლენების ოფიციალური ვერსიის თანახმად, ამ ოპერაციის აუცილებლობა წარმოიშვა მხოლოდ ქალბატონ ქ.-ს მიერ უფლებამოსილ ორგანოებში წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე. მომჩივანი აცხადებდა რომ, ფაქტობრივად, ქ-ნი ქ. რიგითი კერძო პირი არ იყო, არამედ კუდ-ის ანაზღაურებადი საიდუმლო აგენტი, რომელიც ამ უკანასკნელთან თანამშრომლობდა სხვა სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქალბატონი ქ. უკვე იყო პოლიციის აგენტი იმ დროისთვის, როდესაც პირველად მიმართა მას. მომჩივნის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმის კიდევ ერთი მონაწილე, ქალბატონი ნ., სავარაუდოდ ასევე კუდ-ის საიდუმლო აგენტი იყო, რომლის სასამართლოში დაკითხვის შესაძლებლობა მომჩივანს არ ჰქონდა. მომჩივანმა განაცხადა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არც კი ახსენეს ის ფაქტი, რომ იგი საიდუმლო აგენტი იყო, და უპასუხოდ დატოვეს მისი არგუმენტი დანაშაულის პროვოკაციის შესახებ. მომჩივანმა ასევე მიუთითა, რომ ქალბატონი ქ. თავად გახდა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის სამიზნე – მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სახით – მას შემდეგ, რაც სასამართლოში ნაწილობრივ მის სასარგებლოდ მისცა ჩვენება (იხ. პარაგრაფი 19 ზემოთ).

2. სასამართლოს შეფასება

(a) ზოგადი პრინციპები

44. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ თანმიმდევრულად ცნო საიდუმლო აგენტების გამოყენება, როგორც სერიოზული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ლეგიტიმური საგამომიებო მეთოდი, ის მაინც მოითხოვს, მკაფიო, ადეკვატურ და საკმარის საპროცესო გარანტიებს, რათა მოხდეს პოლიციის დასაშვები ქმედებების წაქეზებისგან (პროვოკაციისგან) განცალკევება, რადგანაც საზოგადოებრივი ინტერესი ვერ გაამართლებს პოლიციის მიერ პროვოკაციის გზით მოპოვებული სამხილების გამოყენებას (იხ. *Teixeira de Castro v. Portugal*, 9 ივნისი 1998, §36, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998-IV, და *Nosko and Nefedov v. Russia*, no. 5753/09 და 11789/10, §50, 30 ოქტომბერი 2014). ამ თვალსაზრისით, პროვოკაციის შესახებ საჩივრების სასამართლო განხილვა განვითარდა ორი ტესტის საფუძველზე - წაქეზების არსებითი ტესტი და პროცედურული ტესტი (იხ. მაგ. *Bannikova v. Russia*, no. 18757/06, §§37 და 51, 4 ნოემბერი 2010). არსებითი ტესტის მიხედვით დანაშაულის წაქეზების საკითხზე დასაბუთებული საჩივრის განხილვისას სასამართლო პირველ რიგში არკვევს, ჰქონდა თუ არა ხელისუფლების ორგანოებს მყარი საფუძველი ფარული ოპერაციების ჩასატარებლად. კერძოდ, მათ უნდა აჩვენონ, რომ ისინი ფლობდნენ კონკრეტულ, ობიექტურ და გადამოწმებულ მტკიცებულებებს, რომლებიც გვიჩვენებს, რომ თავდაპირველი ნაბიჯები, რომლებიც დანაშაულის შემადგენელ ქმედებებს წარმოადგენდა უკვე გადადგმული იყო, იმ დროს, როდესაც პოლიცია ჩაერია (იხ. ზოგადად, *Shannon v. the United Kingdom (dec.)*, no. 67537/01, ECHR 2004-IV; *Eurofinacom v. France*, (dec.), no. 58753/00, ECHR 2004-VII; და *Furcht v. Germany* no. 54648/09, §51, 23 ოქტომბერი 2014). ეს პრინციპი გამორიცხავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც შეიძლება განიმარტოს, როგორც მომჩივნის წაქეზება დანაშაულისკენ, რომელსაც სხვაგვარად იგი არ ჩაიდენდა, როგორცაა, მაგალითად, მომჩივანთან დაკავშირების ინიციატივა თავდაპირველი უარის მიუხედავად, განმეორებითი შეთავაზება, დაჟინებითი მოთხოვნები, ფინანსური სარგებლის დაპირება, ან მომჩივნის თანაგრძნობის გამოწვევა (შეადარეთ, სხვა საქმეებთან ერთად, *Ramanauskas v. Lithuania [GC]*, no. 74420/01, §67, ECHR 2008; *Malininas v. Lithuania*, no. 10071/04, §37, 1-ლი ივლისი 2008; და *Vanyan v. Russia*, no. 53203/99, §§11 და 49, 15 დეკემბერი 2005).

45. როდესაც ხელისუფლება აცხადებს, რომ ისინი მოქმედებენ კერძო პირისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლო განასხვავებს ინდივიდუალ საჩივარსა და პოლიციის თანამშრომლისგან ან ინფორმატორისგან მიღებულ ინფორმაციას (იხ. სხვა მრავალთან ერთად, *Shannon*, ციტირებულია ზემოთ; *Gorgievski v. „the former Yugoslav Republic of Macedonia”* no. 18002/02, §§52 და 53, 16 ივლისი 2009; და *Milinenė v. Lithuania*, no. 74355/01, §§37-38, 24 ივნისი 2008). თანამშრომლის ან ინფორმატორის შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ მისი როლი აგენტ-პროვოკატორის როლამდე გაფართოვდება, რაც თავის მხრივ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაძლო დარღვევას იწვევს, თუ მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლიციის მიერ კონტროლირებად ოპერაციაში. ამიტომ უმნიშვნელოვანესია თითოეულ შემთხვევაში დადგინდეს, დანაშაულებრივი ქმედება უკვე მიმდინარეობდა თუ არა იმ დროს, როდესაც წყარომ თანამშრომლობა დაიწყო პოლიციასთან (შეადარეთ *Eurofinacom and Vanyan*, ორივე ციტირებულია ზემოთ, §§47-49). პროვოკაციის შესახებ საჩივრების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, ხომ არ ჰქონდა რაიმე ფარული მოტივები იმ პირს, რომელმაც ორგანოებს შეატყობინა მომჩივნის სავარაუდო უკანონო ქმედებების შესახებ (იხ. *Milinenė*, ციტირებულია ზემოთ, §39). სასამართლომ დაადგინა, რომ ხაზი საიდუმლო აგენტის კანონიერ საიდუმლო ჩართვასა და დანაშაულის წაქეზებას შორის დიდი ალბათობით გადაიკვეთება, თუკი არ იარსებებს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ნათელი და განჭვრეტადიპროცედურა საიდუმლო ოპერაციების ავტორიზაციისა და განხორციელებისათვის – მითუმეტეს, თუ არ ხორციელდება ოპერაციების სათანადო ზედამხედველობა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლო ზედამხედველობა ყველაზე უფრო შესაფერისი საშუალებაა საიდუმლო ოპერაციის საქმეებზე (იხ. *Khudobin v. Russia*, no. 59696/00, §135, ECHR 2006-XII (ამონაწერები); *Furcht*, ციტირებულია ზემოთ, §53; და *Bannikova*, ასევე ციტირებულია ზემოთ, §§49 და 50). საიდუმლო ოპერაციის ბრძანების გაცემისას პროცედურული გარანტიების არარსებობა ქმნის თვითნებობისა და პოლიციის მხრიდან დანაშაულის პროვოკაციის რისკს (იხ. *Nosko and Nefedov* ციტირებულია ზემოთ, §64).

46. იმ შემთხვევაში, თუ საქმის მასალებში ინფორმაციის ნაკლებობა ან მხარეთა მიერ მოვლენების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაცია ხელს უშლის ევროპულ სასამართლოს საკმარისი ხარისხით

დაადგინოს, ადგილი ჰქონდა თუ არა მომჩივნის წაქეზებას პოლიციის მხრიდან, პროცედურული ასპექტი გადამწყვეტი ხდება. ეროვნული სასამართლოების მიერ ჩატარებული სამართალწარმოების განხილვისას სასამართლომ გაითვალისწინა დანაშაულის პროვოკაციის თაობაზე დაკმაყოფილებული შუამდგომლობის პოტენციური შედეგი (იხ. Bannikova, ციტირებულია ზემოთ, §§52 და 53, დამატებითი მითითებებით). ამოსავალი წერტილის სახით, სასამართლო დაადგენს წარმოადგენს თუ არა დანაშაულის პროვოკაციის შესახებ დასაბუთებული პრეტენზია არსებით დაცვას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ან იძლევა თუ არა მტკიცებულების გამორიცხვის საფუძველს, ან იწვევს თუ არა ანალოგიურ შედეგებს (იხ. Khudobin, ციტირებულია ზემოთ, §§133-135). მართალია, როგორც წესი, სასამართლო ეროვნულ ორგანოებს უტოვებს გადასაწყვეტად, თუ რომელი პროცედურა უნდა დაიცვას ეროვნულმა სასამართლომ დანაშაულის პროვოკაციის შესახებ საჩივრის განხილვისას, თუმცა ის მოითხოვს, რომ ასეთი პროცედურა იყოს შეჯიბრებითი, საფუძვლიანი, ყოვლისმომცველი, და დამაჯერებელი პროვოკაციის საკითხთან მიმართებით, ამასთან ბრალდების განმახორციელებელ შესაბამის ორგანოს ეკისრება მტკიცების ტვირთი იმის საჩვენებლად, რომ ადგილი არ ჰქონია წაქეზებას. ეროვნული სასამართლოს განხილვა უნდა მოიცავდეს მიზეზებს, თუ რატომ ჩატარდა საიდუმლო ოპერაცია, დანაშაულში სამართალდამცავი ორგანოების ჩართულობის მასშტაბის და წაქეზების ან ზეწოლის ხასიათს, რომელსაც მომჩივანი დაექვემდებარა (იხ. სხვებთან ერთად, Ramanauskas, ციტირებულია ზემოთ, §§70 და 71, და Bannikova, ციტირებულია ზემოთ, §48). ეროვნული

სასამართლოების მოვალეობა, უზრუნველყონ სასამართლო პროცესის სრული სამართლიანობა, მოითხოვს *inter alia*, რომ მოხდეს საიდუმლო აგენტების და სხვა მოწმეების დაკითხვა, რომლებმაც შესაძლოა ჩვენება მისცენ წაქეზების საკითხთან დაკავშირებით. ასევე, მათი ჯვარედინი დაკითხვა დაცვის მიერ, ან მინიმუმ ცნობილი უნდა გახდეს დეტალური მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამის გაკეთება (შეადარეთ *Lüdi. v. Switzerland*, 15 ივნისი 1992, §49, Series A no. 238; *Bulfinsky v. Romania*, no. 28823/04, §45, 1-ლი ივნისი 2010; და *Kuzmickaja v. Lithuania (dec.)*, no. 27968/03, 10 ივნისი 2008). პროცედურული ტესტის ფარგლებში სასამართლოს დასკვნები გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება იმის დასადგენად, აღნიშნული სისხლის სამართლის წარმოება მიმდინარეობდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევით (შეადარეთ მაგალითისთვის, *Sepil v. Turkey* no. 17711/07, §37-40, 12 ნოემბერი 2013, და *Constantin and Stoian v. Romania*, no. 23782/06 და 46629/06, §64, 29 სექტემბერი 2009).

(b) აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

47. საერთაშორისო ზედამხედველობის ფარგლების გათვალისწინებით, კერძოდ კი იმის, რომ ევროპული სასამართლო არ არის მეოთხე ინსტანციის სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია ეჭვქვეშ დააყენოს ეროვნული სასამართლოების დასკვნები, აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმის განხილვისას უნდა იხელმძღვანელოს ეროვნულ დონეზე დადგენილი ფაქტებით. ამრიგად, სასამართლოს შეფასება დაეყრდნობა ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტს, რომ მომჩივანმა მართლაც მიიღო ქ-ნ ქ-სგან ქრთამი ბიზნესგეგმის განხორციელებაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ (შეადარეთ, *mutatis mutandis*, *Matanović v. Croatia*, no. 2742/12, §136). ერთადერთი ძირითადი პროცედურული ხარვეზი, რომელიც, სავარაუდოდ, ღიად დარჩა ეროვნულ დონეზე – მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენდა ძირითად საკითხს იმის დასადგენად, იყო თუ არა მომჩივნის სასამართლო სამართლიანი – არის მომჩივნის განცხადება, რომ იგი პოლიციის პროვოკაციის მსხვერპლი იყო და ეროვნული სასამართლოების მიერ ამ ბრალდების განუხილველობა. ამიტომ, ევროპულმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს კონკრეტული პროცედურული საკითხი.

48. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს განსახილველი ძირითადი საკითხია, სამართალდამცავი ორგანოს – კუდ-ის ქმედებები საიდუმლო ოპერაციის ფარგლებში რჩებოდა, თუ ის აქეზებდა მომჩივანს ქრთამის აღებისკენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლომ უნდა განსაზღვროს შემოიფარგლებოდა თუ არა კუდი „დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიების არსებითად პასიური მეთოდებით“ (იხ. მაგალითისთვის, *Ramanauskas*, ციტირებულია ზემოთ, §§66-67). თუმცა, ამ საკითხზე არსებითი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება იმაზე, შეიცავს თუ არა საქმის მასალები საკმარის ინფორმაციას ფარულ ქმედებებზე. თუ არსებითი ტესტი არადამაჯერებელია საქმის მასალებში ინფორმაციის არასაკმარისობის გამო, სასამართლო განხილვის მეორე ეტაპზე გადავა და შეაფასებს იმ პროცედურას, რომლითაც ეროვნული სასამართლოების მიერ იქნა განხილული დანაშაულის პროვოკაციის შესახებ საჩივარი 46-ე პარაგრაფში მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინციდენტამდე არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება მომჩივნის მიერ რაიმე დანაშაულის, კერძოდ, კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, მხოლოდ ნასამართლობის არარსებობა საქმის სხვა გარემოებებისაგან განცალკევებით

ვერ გამოდგება იმის საფუძვლად, რომ არაკეთილსინდისიერად ჩაითვალოს სამართალდამცავი ორგანოს გადაწყვეტილება საიდუმლო ოპერაციის ჩატარების შესახებ, მას შემდეგ, რაც ქ-ნი ქ.-სგან მიიღეს ინფორმაცია სავარაუდო ქრთამის მოთხოვნის თაობაზე. ვერც კუდ-ის მიერ იმ პირის მიმართ შემდგომი ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა, რომელმაც თითქოსდა მიიღო ქრთამის მოთხოვნა იმისათვის, რომ მას დანაშაულის დაფიქსირება შეძლებოდა - ვერ ჩაითვლება პოლიციის მიერ ფარული ოპერაციის ჩატარების დასაშვები ფარგლების გადამეტებად. (შეადარეთ მაგალითისთვის, Matanović, ციტირებულია ზემოთ, §138, და Miliniené, ციტირებულია ზემოთ, §§37 და 38).

49. მომჩივნის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის კანონიერებას ჩრდილს აყენებს ის ფაქტი, რომ ქ-ნი ქ. სავარაუდოდ ჩვეულებრივი კერძო პირი არ იყო. მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შეიცავს მასალას, რომელშიც დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ეს პიროვნება თანამშრომლობდა კუდ-თან სხვა არაერთ სისხლის სამართლის გამოძიებაში. ქალბატონმა ქ.-მ თავად აღიარა მომჩივნის სასამართლო პროცესზე, რომ როდესაც მან 2005 წლის 1-ლ დეკემბერს მომჩივანს მიმართა, იგი უკვე კუდ-ის მითითებებით მოქმედებდა. თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოვლენების ოფიციალური ვერსიით, ქ-ნი ქ.-ს ინიციატივა არ ყოფილა მომჩივნისთვის ქრთამის შეთავაზება, პირიქით, პირველად ამ უკანასკნელმა მოითხოვა მისთვის 30,000 აშშ დოლარის გადახდა. მიუხედავად მომჩივნის მტკიცებისა ეროვნულ სასამართლოებში, რომ არ ჰქონდა განზრახული ზემოხსენებული თანხის ნაწილის პირადი სარგებლისთვის გამოყენება, ეს მტკიცება ვერ გაამართლებს მის მიერ ფინანსური ასპექტების წამოჭრას ქ-ნი ქ.-სთან საუბრისას (იხ. პარაგრაფები 7, 17, 18, 24 და 25 ზემოთ). ასეთ ვითარებაში, სასამართლოს არ შეუძლია საკმარისი დამაჯერებლობით დაადგინოს, მხოლოდ საქმის მასალებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რომ ქალბატონმა ქ.-მ აქტიური და გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ სტრატეგიის შექმნაში, რომელმაც ქრთამის აღების დანაშაულის ჩადენას შეუწყო ხელი. აქედან გამომდინარე, სასამართლოს არსებითი ტესტი არადამაჯერებელია.

50. შესაბამისად, სასამართლო უნდა გადავიდეს პროცედურულ ტესტზე და შეისწავლოს, ჰქონდა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, ეფექტურად წამოეჭრა პოლიციის მიერ დანაშაულის პროვოკაციის საკითხი ეროვნულ სამართალწარმოებაში (იხილეთ ზოგადი პრინციპები, რომლებიც წარმოდგენილია 46-ე და 48-ე პარაგრაფებში). ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მომჩივნის არგუმენტების დაფუძნება პოლიციის მიერ წაქეზებაზე სწორი ქმედება იყო, რადგან ამას შეიძლებოდა გამოეწვია გამოძიების ასეთი მეთოდით მოპოვებული მტკიცებულების ამორიცხვა (შეადარეთ Matanović, ციტირებულია ზემოთ, §140, და Bannikova, ხსენებული ზემოთ, §56). კერძოდ, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილში უკანონოდ იყო მიჩნეული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება ფარული აგენტის მონაწილეობით, რომლებიც დაკავშირებულია „მოტყუებასთან“ და „ძალით დაყოლიებასთან“, და ასეთი უკანონო მეთოდების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს უფლება ჰქონდა საჩივარი შეეტანა სასამართლოში. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი პირდაპირ ავალდებულებს სასამართლოს საქმის მასალებიდან ამორიცხოს ნებისმიერი „უკანონო ქმედების“ ან „უკანონო მეთოდის“ გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულებები (იხ. პარაგრაფები 36-38). შესაბამისად, და იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი დავობდა დანაშაულის პროვოკაციის თაობაზე, პროკურატურას უნდა აეღო თავის თავზე მტკიცების ტვირთი, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევით ადგილი არ ჰქონია წაქეზებას (იხილეთ, სხვა მრავალ დოკუმენტთან ერთად, Bannikova, ციტირებულია ზემოთ, §48).

51. თუმცა, შესაბამისი სისხლის სამართლის მასალების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ პროკურატურას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი სამართალწარმოებისას დანაშაულის პროვოკაციის შესახებ მომჩივნის ბრალდების უარსაყოფად. პროკურატურის მხრიდან ამგვარი სრული დუმილი შეიძლება აიხსნას დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესრულების ობიექტური შეუძლებლობით, საიდუმლო ოპერაციის განხორციელებისათვის ოფიციალური ნებართვის და კონტროლის არარსებობის გამო (იხ. Vanyan, ციტირებულია ზემოთ, §§46 და 47, და Khudobin, ციტირებულია ზემოთ, §135). ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ კუდ-ის მიერ ქ-ნი ქ.-ს საიდუმლო მისიით მომჩივანთან გაგზავნა, არ მომხდარა არც სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების ან ზედამხედველობის ფარგლებში, რაც ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით მიიჩნევა ზედამხედველობის ყველაზე შესაფერის ფორმად ასეთ საქმეებში, და არც სისხლის სამართლის საქმეში კომპეტენციის მქონე რომელიმე სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოსგან (განასხვავეთ Lüdi, ციტირებულია ზემოთ; შეადარეთ, სხვა მრავალ დოკუმენტებთან ერთად, Teixeira de Castro, ციტირებულია ზემოთ; §38, და Miliniené ციტირებულია ზემოთ; §39). „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 3-7 პუნქტების თანახმად, არ იყო საჭირო სასამართლოს ბრძანება ან სასამართლოს კონტროლიფარული აგენტის ჩანერგვისათვის, განსხვავებით ზოგიერთი სხვა სამძებრო მეთოდებისგან

(იხ. პარაგრაფი 39 ზემოთ). სხვა სიტყვებით, ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ასეთი ფარული ოპერაციის ჩატარების ადეკვატურ რეგულირებას (შეადარეთ მაგალითისთვის, Veselov and Others v. Russia, no. 23200/10 და 2 სხვა, §111, 2 ოქტომბერი 2012).

52. დაბოლოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროკურატურამ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის ვალდებულების შესრულება, ეს ვერ გაათავისუფლებს ეროვნულ სასამართლოებს წაქეზებასთან დაკავშირებულ შუამდგომლობაზე ეფექტური რეაგირების ვალდებულებისაგან. სასამართლო განხილვის ეფექტურობა უნდა შეფასდეს შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებებში არსებული მიზეზების სათანადოდ მხედველობაში მიღებით. შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო პროცესის ჩატარების შემდეგ სასამართლოებს უნდა დაედგინათ ის მიზეზები, თუ რატომ ჩატარდა ფარული ოპერაცია მომჩივნის წინააღმდეგ, აგრეთვე უკანონო ქმედებაში კუდ-ის მონაწილეობის ფარგლები და წაქეზების ან ზეწოლის ხასიათი, რომელსაც მომჩივანი დაექვემდებარა (იხ. მაგალითისთვის, Ramanauskas, ციტირებულია ზემოთ, §71). თუმცა, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ეროვნულ სასამართლოებს, მომჩივნის კარგად დასაბუთებული არგუმენტების წინააღმდეგ არ წარმოუდგენიათ თავიანთ დასკვნებში არც ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა დარჩენილიყო ეს არგუმენტები განუხილველი (იხ. პარაგრაფები 27 და 33 ზემოთ). სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს მეორე მთავარი მოწმის, ქ-ნი ნ.-ის, დასწრება და მისი დაკითხვა, აღნიშნული პირი მომჩივნის და ქ-ნი ქ.-ის თანახმად, კუდ-ის მიერ მომჩივნის პროვოცირების მიზნით ჩანერგილი მეორე ფარული აგენტი იყო (იხ. პარაგრაფები 25-26 და 29-32). ასეთ ვითარებაში არ შეიძლება ითქვას, რომ წაქეზების შესახებ ბრალდებების სასამართლო განხილვა შეჯიბრებითი პროცესის პრინციპის დაცვით ჩატარდა, ან, რომ მან სათანადო მიზეზები წარადგინა მომჩივნის არგუმენტებზე უარის თქმისთვის.

53. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით – მომჩივნის წინააღმდეგ საიდუმლო ოპერაციის ჩატარებისთვის საკმარისი საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა, ფარული აგენტების მიერ თავიანთ საქმიანობაში მკაცრად პასიურად დარჩენის შეუსრულებლობა, პროკურატურის მიერ მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის შეუსრულებლობა, და პროვოკაციის შესახებ მომჩივნის კარგად დასაბუთებული არგუმენტების არასთანადო სასამართლო განხილვა – სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება არ შეესაბამებოდა სამართლიანი სასამართლოს ცნებას. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევას.

II. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევა

54. და ბოლოს, კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის საფუძველზე მომჩივანი დავობდა, რომ დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, და მისი სამართლებრივი დაცვის უფლება, როდესაც სამართალწარმოების დროს არც სასამართლოებს და არც მხარეებს არ მიეცათ ქ-ნი ნ.-ის, საქმეში მონაწილე ერთ-ერთი ფარული აგენტის, დაკითხვის შესაძლებლობა. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტში ვკითხულობთ:

„3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: ...

(დ) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და, გამოამახვილოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში...“

55. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის საჩივარი ამ თავის საფუძველზე განუყოფელია კონვენციის 6§1 საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრისგან და თანაბრად მისაღებია. თუმცა, 52-ე და 53-ე პარაგრაფებში მოცემული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლოს არ მიაჩნია საჭიროდ ცალკე გადაწყვეტილების გამოტანა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის საფუძველზე არსებულ საჩივართან დაკავშირებით (იხილეთ, სხვა მრავალ დოკუმენტთან ერთად, Sandu v. the Republic of Moldova, no. 16463/08, §40, 11 თებერვალი 2014, §40, და Ramanauskas, ციტირებულია ზემოთ, §79-80).

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

56. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს მხოლოდ სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

A. ზიანი

57. მომჩივანმა მოითხოვა 81,890 ევრო მატერიალური ზიანისათვის, რომელიც უკავშირდებოდა განაცდურ შემოსავალს მისი პატიმრობის გამო, და მორალური ზიანისთვის 50,000 ევრო.

58. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი იყო, და თუ სასამართლო დაადგენს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, ეს მომჩივნისთვის საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილება იქნება.

59. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დადგენილ დარღვევასა და მატერიალურ ზიანს შორის; ამიტომ იგი უარყოფს ამ მოთხოვნას. მეორე მხრივ, სამართლო აღიარებს, რომ მომჩივანს მიაღება მორალური ზიანი, რომლის კომპენსირება შეუძლებელი იქნება მხოლოდ დარღვევის აღიარებით. ამიტომ, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მისთვის 2,500 ევროს მიკუთვნება.

B. ხარჯები

60. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 1,831 ევრო სამართლებრივი დახმარების, საფოსტო, თარგმნისა და სასამართლოში გაწეული სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ასანაზღაურებლად. მან არ წარმოადგინა რაიმე იურიდიული ან ფინანსური დოკუმენტი მისი მოთხოვნის მხარდასაჭერად.

61. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო.

62. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომჩივანს უფლება აქვს, გაწეული ხარჯების ანაზღაურება მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ ისინი გაწეულია რეალურად და საჭიროებისამებრ და თუ მოთხოვნილი თანხა არის გონივრული ოდენობის. მოცემულ საქმეში, მის ხელთ არსებული არასაკმარისი დოკუმენტებისა და ზემოთ ხსენებული კრიტერიუმების გათვალისწინებით (იხ. *Ildani v. Georgia* no. 65391/09, §56, 23 აპრილი 2013, და სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, no. 18768/05, §164, 27 მაისი 2010), სასამართლო უარყოფს მომჩივნის მოთხოვნას ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

C. საურავი

63. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საურავის განაკვეთი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ მოტივით სასამართლო ერთხმად,

1. აცხადებს მისაღებად კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილ საჩივარს წაქეზებასთან და პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის არდაკითხვასთან დაკავშირებით.

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

3. ადგენს, რომ არ არის საჭირო კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის განხილვა.

4. ადგენს,

(a) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის ვადაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, მომჩივანს გადაუხადოს 2,500 (ორი ათას ხუთასი ევრო) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს.

(b) რომ ზემოაღნიშნული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ თანხის სრულ ანაზღაურებამდე, ზემოთ აღნიშნულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

5. უარყოფს, მომჩივნის პრეტენზიას სამართლიანი დაკმაყოფილების დარჩენილ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2018 წლის 28 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მილან ბლაშკო

ანგელიკა ნუსბერგერი

სექციის განმწესრიგებლის მოადგილე

თავმჯდომარე